"კაცია ადამიანი"ლუარსაბ თათქარიძის პიროვნული მახასიათებელი დავითის გადმოსახედიდან

მე დავით ვარ – ლუარსაბ თათქარიძის ახლობელი და მისი ყოველდღიური ცხოვრების უხმო დამკვირვებელი. ბევრს უნახავს მისი გარეგნობა, ბევრს სმენია მისი სიტყვები, მაგრამ მე ახლოდან მინახავს ის კაცი, რომელიც საკუთარ თავს დიდად არაფერს ეკითხება და არც სხვას აძლევს ამის საშუალებას.

ლუარსაბი ჩემთვის, უპირველესად, ზარმაცი და უდარდელი კაცია. მისი დღე იწყება და მთავრდება ერთი და იმავე საზრუნავით – რა ჭამოს და რა სვას. თავადაც ამბობს, რომ „კაცი ძირგავარდნილი ქვევრიაო, რომელსაც დღე-ყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსო“. მისთვის ადამიანის არსი სწორედ ამით შემოიფარგლება. ხშირად მინახავს, როგორ ფიქრობს ჩიხირთმა სჯობია თუ ბოზბაში, ორაგული თუ თართი – და ეს საკითხები მისთვის ცხოვრების მთავარ დილემად იქცევა. მაშინ ვხვდები, რომ ამ კაცს უფრო მაღალი საზრუნავი არ გააჩნია.

მისი გარეგნობაც ზუსტად ასახავს მის შინაგან ბუნებას. „კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი“ – ასე ახასიათებს ავტორი, და მართლაც ასეა. გაბერილი ღიპი, ქონით გატენილი ხელები, მუდამ დასისხლებული თვალები – თითქოს ეს სხეული მხოლოდ ჭამა-სმისთვის არის შექმნილი. მისი სხეული, როგორც მისი სული, მძიმე და მოუქნელია. ვერასოდეს მინახავს, რომ რაიმე საქმეში ენთუზიაზმით ჩართულიყოს. როგორც მისი სახლი – ძველი, გადაქცეული ღობით და მოუვლელი ეზოთი – ისეა თვითონაც: გარედანაც და შიგნიდანაც გაუვარგისებული.

ლუარსაბის დამოკიდებულება სწავლასა და განათლებისადმი ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეულია. ხშირად გამიგონია, როგორ ოხრავდა: „რაც ეს ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ქართველ კაცის ხეირი მაშინ წავიდაო“. მისთვის წიგნი „ქალის საქმეა“ და არა ვაჟკაცის. მე კი ვფიქრობ, რომ სწორედ ეს აზროვნებაა მისი უბედურების სათავე. ავტორიც მწარედ აღნიშნავს: „სწავლა, ღვთის მადლით, არაფრისა არა ჰქონდა. რომ ჰქონოდა, ეგრე მსუქანიც აღარ იქნებოდა“. ეს სიტყვები მხოლოდ სხეულებრივ სიმსუქნეს კი არა, გონებრივ სიღარიბესაც გულისხმობს. ლუარსაბი განათლებას ეშმაკობად მიიჩნევს, რადგან ფიქრი ეზარება.

მისი ცოლიც, დარეჯანი, მასავით ცხოვრობს. მათი დღეები ასე გადის: „სადილის შემდეგ ძილი, მერე ისევ გაღვიძება, მერე ისევ ჩაი, მერე ვახშამი და ბოლოს ისევ ის სატრფიალო ძილი“. ეს თითქოს უწყინარი, ტკბილი ცხოვრებაა, მაგრამ სინამდვილეში სულიერი სიცარიელეა. ისინი თავს იტყუებენ, რომ მამულის მართვა და „ბიჭების დაწიოკება“ დიდი საქმეა, მაგრამ ეს მხოლოდ ყალბი ფუნქციაა, რომ საკუთარი უსარგებლობა დაივიწყონ.

მე, როგორც ამ გარემოს ნაწილი, ხშირად მიფიქრია: არის კი ლუარსაბი კაცია-ადამიანი? გარეგნულად – დიახ, თავადი, მებატონე, პატივსაცემი კაცი. მაგრამ შინაგანად? ის არ ფიქრობს საზოგადოებაზე, ქვეყანაზე, მომავალზე. მისი სამყარო შემოსაზღვრულია სუფრით და ლოგინით. ავტორის ეპიგრაფი – „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“ – თითქოს პირდაპირ მას ეუბნება სიმართლეს. ლუარსაბი არა მხოლოდ ერთი კონკრეტული კაცია, არამედ ჩვენი საზოგადოებრივი სენის სახე.

მის ტრაგედიას მე ასე ვხედავ: ის კაცი ცვლილებას არ ექვემდებარება. არ სურს გამოფხიზლება. ამიტომაც რჩება უშვილძიროდ – თითქოს ცხოვრებამ თავად გამოუტანა განაჩენი. მისი არსებობა არაფერს ქმნის და არაფერს ტოვებს.

როდესაც ლუარსაბს ვუყურებ, ვხედავ, როგორი არ უნდა იყოს ადამიანი. კმაყოფილება, რომელსაც ის ასე უფრთხილდება, სინამდვილეში „მომაკვდინებელი სენია“. მან საკუთარი ცხოვრება ბრიყვულ განცხრომაში გაატარა და ვერასოდეს მიხვდა, რომ ადამიანი მხოლოდ ჭამა-სმისთვის არ არის დაბადებული.

ამიტომაც, ჩემი თვალით დანახული ლუარსაბი არის სულიერად ღარიბი, ზარმაცი, თვითკმაყოფილი და განათლების მტერი კაცი – ადამიანი, რომელიც მხოლოდ ბიოლოგიურ არსებობამდე დავიდა და დაკარგა ნამდვილი ადამიანობა. სწორედ ამ კითხვას გვიტოვებს იგი: ვართ კი ადამიანები, თუ მხოლოდ ლუარსაბებივით ვცხოვრობთ?

ანა ჯიოშვილი